# სახალხო გაზეთი

№ 725 ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი 1912 წ. № 725

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



[library stamp]


## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის" მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**


**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

1 ღვინობისთვიდგან **წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.**

**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.



ხვალ, **18 ოქტომბერს,**

**თ-დ ნიკოლოზ** ბიძინას ძე **ერისთავის**

გარდაცვალებიდან ნახევარ წლის შესრულების გამო, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ქვრივი კნეინა ეკატერინე ზაქარიას ასული ერისთავისა** სახლობიანად. წირვა დაიწყება დილის 10 ს., ხოლო პანაშვიდი დილის 11 ს. 733

კვირას, 14 ღვინობისთვეს, გარდაიცვალა

**ესტატე** საველის ძე **გეგეჭკორი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მისი ანნა გეგეჭკორისა** შვილებითურთ და სთხოვს დაესწრნენ დასაფლავებას, ხუთშაბათს, 18 ღვინობისთვეს, დილის 9 ს., გამოსვენება დიდი მთავრის ქუჩიდან, № 45, დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 730

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**მარიამ** ბეჟანის ასული **ლაზარევისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დისწულები და სიძე განსვენებულისა: **სოფიო დავითის ასული დემუროვისა, ეკატერინე დავითის ასული ხახუტაშვილისა** და **ვასილ გიორგის ძე ხახუტაშვილი.** პანაშვიდი ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ბაგრატიონოვის ქუჩა № 28, გამოსვენება 18 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ანჩისხატის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 734

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს,** 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება

ვლ. **ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

**პირველად ორიგინალური პიესა ვალ. შალიკაშვილისა**

**გადაჭრილი მუხა,** 4 მოქმედებად.

**ამ პიესისათვის დამზადებულია ახალი დეკორაციები.**

მონაწ. ღებულობენ: ქ-ნნი აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ჟღენტი, საოაული, ციციშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

თეატრის დირექცია დაბეჯითებითა სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

**ანონსი:** კვირას, 21 ოქტ., წარმ. იქნება ცნობილი ისტორიული დრამა ვას. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან".

1541. რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

**წიგნების საკაზმავი სახელოსნო** ვლ. ივ. ნატრაძისა და დავ. იას. დოგონაძისა.

(სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6, მარცხნივ ეზოში მაღაზია № 2).

აქვე **ამზადებენ სურათების ჩარჩოებს ფერად ვარაყიანსა თუ სადას.**

ოქროს ვარაყით და შავი საღებავითაც **ჰბეჭდავენ სათეატრო თუ სამგლოვიარო ლენტებს.**

ყოველ დაკვეთილ საქმეს ასრულებენ **სწრაფად, შნოიანად, პირნათლად და პირიანად.** 731.

1912 წ. 21 ოქტომბერს, ქ. ტფილისში, **ქალაქის გამგეობის დარბაზში** (შესავალი ოლღამინოვის ქუჩიდან)

დანიშნულია

**საზოგადო კრება**

**ტფილისის ბინის მოქირავნეთა და იაფ-ფასიან სადგომების პატრონთა საზოგადოების წევრთა.**

კრება დაიწყება დილის $11^{1}/_{2}$ ს.

ხმის უფლება ყველას აქვს, ვისაც კი 3 მანათი საწევრო აქვს შემოტანილი და 1 მანათიც საზოგადოებაში ჩასარიცხი. ბ.ბ. წევრთა 1 **საზოგადო კრებას შემდეგი საკითხები აქვს განსახილველი.**

1) დამფუძნებელთა მოხსენება საზოგადოების ორგანიზაციის თაობაზე.

2) საზოგადოების საბჭოს წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევა საზ. წესდების მე-26 და მე-27 მუხლ. ძალით.

3) სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევა საზოგ. წესდებ. მე-37 მუხლის ძალით. 732.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება აკაკის თხზულებანი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| აკაკის რჩეული ლექსები ფასი | 10 კ. | — ორი პუბლიც. სტატია | 10 „ |
| — ალექსი | 10 „ | — ოცნება | 10 „ |
| — ბაგრატ დიდი | 10 „ | — სიტყვა თქმული ერთს არჩევანზე და საუბარი მამა-შვილს შუა | 10 „ |
| — გამზრდელი | 5 „ | — სიმღერა | 15 „ |
| — გოგია მეჩონგურე | 5 „ | — ყვითელი სანთელი | 10 „ |
| — გორის ციხე | 5 „ | — ქუთათლის სიზმარი | 5 „ |
| — დათუნა გოცირიძე | 5 „ | — ჩემი ნაწერები | 75 „ |
| — თამარ მეფე | 5 „ | — ჩემი თავგადასავალი | 1 მ.— „ |
| — ივავ-არაკნი ნათარგმნი | 50 „ | — წმინდა ნინო | 20 „ |
| — ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი | 10 „ | — Избранныя стихотворенія въ переводѣ русскихъ поэтовъ | 20 „ |
| — მამლის ყივილზე | 10 „ | | |
| — ნათელა | 20 „ | | |
| — ნაცარქექია | 10 „ | | |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძველიძვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

ოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^{1}/_{2}$—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^{1}/_{2}$—1.
**ფიდორთვე ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12^{1}/_{2}$—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^{1}/_{2}$—1.
**ფიდორთვე ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^{1}/_{2}$—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^{1}/_{2}$—3.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^{1}/_{2}$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის იაალობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^{1}/_{2}$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$.

**შ. ა. მიქელაძე.** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურ-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606"-ით.** 1018

**დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.**

**გ. გ. მებრაბიანცი**

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოდნაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 724

**ექიმი** ბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^{1}/_{2}$ საათ. კახეთის ქ., № 6.

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**ექიმი ივ. გომართელი** **დაბრუნდა** და განაახლა ავათმყოფების მიღება.

ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^{1}/_{2}$ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

**ექიმი** ქალი **დ. გ. საყვარელიძე.**

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა. № 3, ს. გაბაშვილისა.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

**ექიმი ს. ი. ბძელიშვილი**

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411


## ტფილისი, 17 ოქტომბერი

**ქუთაისის დღევანდელ არჩევნების გამო.** ქუთაისის ამომრჩევლებმა დღეს კვლავ უნდა გამოსთქვან თავიანთი აზრი და ნდობა ან ერთს საარჩევნო ჯგუფს გამოუცხადონ, ან მეორეს. პირველ არჩევნებში გეგეჭკორის მომხრეებმა გაიმარჯვეს. რა თქმა უნდა, ყველა ის, ვინც გეგეჭკორს ხმას აძლევდა, იმის იდეიურ მომხრედ ვერ ჩაითვლება. თუ, მიუხედავად ამისა, მაინც ხმას აძლევდნენ, ეს სხვათა შორის იმითაც უნდა აიხსნას, რომ სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის შესახებ ბევრს ყალბი წარმოდგენა აქვთ. ბევრს ისინი ერთადერთს დემოკრატიულ პარტიად მიაჩნია. ბევრს გულ-უბრყვილოდ სწამს, რომ მათი სიტყვით მთლად განხორციელებული ჭეშმარიტება ლაღადებს და ყველა ისინი, ვინც მარქსის დოგმას არ იზიარებს, არც დემოკრატები არიან და არც მშრომელ ხალხის ინტერესების დამცველნი. ესეთი აზრი თვით სოციალ-დემოკრატებმა გაავრცელეს და ბევრი გულ-უბრყვილო ადამიანიც შეიყვანეს შეცდომაში. ჩვენებური სოციალ-დემოკრატები სარგებლობდნენ იმ გარემოებით, რომ ხალხის ფართო მასა საშუალებასაა მოკლებული კრიტიკულის თვალით შეხედოს ყველა იმას, რაც მსოფლიო ისტორიაში ჰხდება, და ათასნაირს ყალბს აზრებს ავრცელებენ. ევროპაში კი სოციალისტურმა აზროვნებამაც კი პირი უბრუნა მარქსიზმს. სოციალ-დემოკრატების სამფლობელოში, გერმანიაში, ორტოდოქსი მარქსისტები დღითი-დღე ჰკარგავენ პოზიციას. სხვა სახელმწიფოებში კი უფრო მეტსა ვხედავთ. აღარც ერთს ქვეყანაში ერთს წერტილზე გაყინულ დოგმას მარქსისტულ მოძღვრებისას გასავალი არა აქვს. დასავლეთი ევროპა იცნობს მხოლოდ სოციალისტურ აზროვნებას, იცნობს სოციალისტებს, რომელნიც, მიუხედავად ძირითად ფილოსოფიურისა და სოციოლოგიურ პრინციპების სხვა და სხვაობისა, მიისწრაფვიან სოციალურ განახლებისკენ. ინდუსტრიალური ინგლისი ჩვენისთანა ტიპის სოციალისტს არ იცნობს. ერთის სიტყვით, სადაც კულტურაა, სადაც ადამიანის აზროვნება ერთს წერტილზე არ გაყინულა, იქ მარქსის ცალ-მხრივმა აზროვნებამ ან სრულიად ვერ მოიკიდა ფეხი, ან უკვე დაჰკარგა ნიადაგი. მხოლოდ ჩვენის თანა უკულტურო ქვეყანაში შეიძლება ასეთი გაძლიერება ხავს-მოკიდებულ აზროვნებისა. მარქსისტების გავლენა აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი უკულტურობით. თუ ისეთს სახელმწიფოებშიაც კი, რანაირიც ინგლისია და რომელიც თვით მარქსსა ჰქონდა აღებული სანიმუშოდ, მარქსისტული თეორია ფეხს ვერ იკიდებს, რაღა უნდა ითქვას ჩვენს მიწათ-მოქმედ ქვეყანაზე? ქვეყანა სასოფლო-მეურნეობისა, ქვეყანა, სადაც მრეწველობის ჩანასახი თუ მოიძებნება, მთლად მარქსისტულ აზროვნებითა ყოფილა გაჟღენთილი, თუ ცოტა ხანს მაინც ვიფიქრებთ, რომ სოციალ-დემოკრატებს შეგნებულად აძლევენ ხმას. მაგრამ ეს ხომ ისეთი აბსურდია, რომ წარმოდგენაც კი ძნელია.

შეუძლებელია ჩვენი ხალხი სოციალ-დემოკრატების **ნამდვილ** მოძღვრებას იცნობდეს და ხმას კი მაინც მას აძლევდეს. შეუძლებელია გლეხმა იცოდეს, რომ, მარქსის თეორიით, მას გაბოგანოვება, გაპროლეტარება უნდა ეწვიოს, რომ შრომის სასუფეველში შევიდეს, და მაინც მას აძლევდეს ხმას.

ცხადია, ჩვენმა გლეხ-კაცმა არ იცის ესა. და არ იცის იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატებმა არაფერი უთხრეს, იქნებ კიდეც დაუმალეს განზრახ, თვითონ კი იმდენი საშუალება არა აქვს, რომ კრიტიკულად შეხედოს საკითხს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ. ვერ ნახავთ მთელს დედა-მიწის ზურგზე ისეთს დაჩაგრულ ერს, რომ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებისავით სწყვეტდნენ ეროვნულ საკითხს. პირ-იქით, მთელი მეცხრამეტე საუკუნე და მეოცე საუკუნის დასაწყისი ერთი ბრწყინვალე ეპოქაა წვრილ ერთა ეროვნულ თვითგამორკვევისა. მარქსის მოძღვრება ვერც აქ გამართლდა. კაპიტალიზმმა კი არ მოსპო ეროვნებანი, პირ-იქით, დაჰბადა ეროვნული საკითხი იქაც კი, სადაც არ არსებობდა. ჩვენებური სოციალ-დემოკრატები კი, უვიცნი, უსწავლელნი, პატარა, ქლექიან წიგნაკებზე აღზრდილნი, თუთიყუშივით იმეორებენ ერთხელ დაზეპირებულ გაცვეთილ ფრაზებს და ჰგონიათ, რომ დიდს საქმეს აკეთებენ, საკაცობრიო იდეალებს ემსახურებიან.

ერთხელაც არის ამ უვიცთა გეგემონიას ბოლო უნდა მოეღოს. ერთხელაც არის ქართველმა ხალხმა უნდა დაილაპარაკოს როგორც კულტუროსანმა ხალხმა, რომელსაც მდიდარი ისტორიული წარსული და კულტურა ჰქონია. კულტუროსან ერს ვერ შეუძლიან დიდ-ხანს გაუძლოს ისეთი ჯგუფის ბატონობას, რომელსაც ერი, მისი წარსული და მომავალი იმ ქვაბად მიაჩნია, სადაც მხოლოდ მარქსის დახავსებული დოგმა მოკიდებული დოგმა უნდა იხარშებოდეს. კულტუროსან ერს ვერ შეუძლიან აიტანოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც მის ყოფნა არ ყოფნის საკითხს უკავშირებენ სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ინტერესებს.

ათასი წლის ეროვნულ კულტურას, ათასი წლის განმავლობაში განაწამებ ქართველ ხალხს აქვს ზნეობრივი უფლება, ილაპარაკოს არა როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ლაქიამ, არამედ როგორც ინდივიდუალურმა კულტურულმა ერთეულმა.

სისხლითა და ცრემლით მოიპოვა ეს უფლება ქართველმა ხალხმა. ტანჯვითა და წვალებით მოიტანა მან თავისი კულტურა მეოცე საუკუნემდე და არც ამიერიდან უნდა გაუშვას ხელიდან.

მაშ, ახსოვდეთ ქუთათურ ამომრჩევლებს, რომ კიტა აბაშიძის გამარჯვება არის გამარჯვება ქართულ ეროვნულ კულტურისა, გამარჯვება ქართულ ხალხოსნობისა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სათათბიროს არჩევნების გარშემო.** 14 ოქტომბერს საერთო კურიის მესამე საარჩევნო უბანში ხელმეორედ მოხდა არჩევნები. ამომრჩევლებად არჩეულ იქმნენ ზომიერ პროგრესისტთა კანდიდატები: ი. ნ. ხუნუნცი, თავ. გ. მ. თუმანოვი და გ. ნ. სტეფანოვი.

✦ როგორც ამბობენ, რუსთა კურიის მხრივ დეპუტატობაზე შემდეგ პირთა კანდიდატურა იქნება წამოყენებული: პროხანოვისა, სნარსკისა (ტფ. ამომრჩეველნი), კრასოვსკისა (ქუთაისი) და სკობელევისა (ბაქო).

✦ **სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევნებში** მონაწილეობის მისაღებად 20 ოქტომბერს ტფილისიდან პეტერბურგს მიემგზავრება ვაჭართა მამასახლისი ა. ნ. მილოვი.

✦ **საარჩევნო კურიოზები.** როგორც მკითხველებმა იციან, 14 ოქტომბერს საერთო კურიის მესამე უბანში არჩევნები მოხდა. ყუთში, სხვათა შორის, ერთი ასეთი ბარათი აღმოჩნდა: „ჩემი კანდიდატები: 1) ექს-შაჰი მაჰომედ ალი, ადრესი—არდიბელის მახლობლად, სამხედრო ბანაკში, 2) ექს-სულთანი აბდულ-ჰამიდი, ადრესი ახალგაზდა ოსმალთ ჰკითხეთ და 3) ჩემი მზარეული მელიტონ ჩახოხბილაძე, რომელიც ვერმიშელს საუკეთესოდ ამზადებს“.

— უკურიოზოდ არც რუსთა არჩევნებმა ჩაიარა. ერთს ბარათში ეწერა: „გირჩევთ თევდორე ტიმოშკინი აირჩიოთ მოსამსახურედ სახელმწიფო სათათბიროში, სადაც ის შემთხვევით დეპუტატად იყო“.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** 15 ოქტომბერს სასანიტარო კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ სასანიტარო ექიმი შირაქოვი, ბოქაული ვაკულო და სავაჭრო-საპოლიციო ზედამხედველი ხახანოვი, ვაგზლის მხარეს მდებარე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერა. კომისიამ დიდი უსუფთაობა აღმოაჩინა ჩაჩიბაიას ღვინის საწყობში. კომისიამ დაადგინა: საწყობი დაჰკეტოს. უსუფთაობა აღმოჩნდა აგრეთვე „კახეთის“ საზოგადოების განყოფილებაში.

✦ **„ეჯილი“.** რედაქციამ მიიღო ჩვეულებრივ საინტერესოდ შედგენილი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს სექტემბრის ნომერი (9).

✦ **გაზ. „უტრო ტიფლისა“** დღეს არ გამოსულა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო.

✦ **კახეთიდან დაბრუნდა** მევენახეთა კომიტეტის მიერ საგანგებოდ გაგზავნილი **კომისია,** რომელსაც ადგილობრივ უნდა გამოეკვლია საქმე და შესაფერი ზომებიც მიეღო ფილოქსერის წინააღმდეგ. იმედია, მევენახეთა კომიტეტი, დაუყოვნებლივ მოახდენს კრებას, რათა მოისმინოს ამ კომისიის მოხსენება და არსებითი ზომები შეიმუშაოს კახეთში ფილოქსერის მოსასპობად. ამ კომისიაში იყვნენ: ბ-ნი სერ. ნიკ. ყაზახაშვილი, ბ-ნი ვლ. ივ. ვისენევსკი, არკ. მ. დემენტიევი, ვას. ილ. რცხილაძე და ბ-ნი ივ. ონ. იოსელიანი. ადგილობრივ მათ მიემატათ ბ-ნი ჰენრ. ანდ. გეინე და თ-დი ალ. რევ. ვახვახიშვილი.

✦ თხუთმეტ ოქტომბერს, ოლგას ქუჩაზე იპოვნეს ჩვრებში შეხვეული, ერთი კვირის ბავშვი, მდედრობითის სქესისა. ამავე დღეს ელისაბედის ქუჩაზე იპოვეს მამრობითის სქესის ბავშვი, დაახლოვებით ერთის თვისა. ორივე ბავშვი ოლგას საბეჩიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

✦ თხუთმეტ ოქტომბერს ტფილისში 37 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ უკვალოდ დაიკარგნენ გრიგოლ კალიგინი და მესროპ სიმონიანცი.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, 17 ოქტომბერს, დანიშნულია **ქართულ სამეურნეო საზოგადოების კრება,** რომელსაც ბ-ნი ვას. ილ. რცხილაძე მოხსენებას წაუკითხავს კახეთში ფილოქსერის თაობაზე წასულ საგანგებო კომისიის მოქმედებაზე.

## სასამართლო

✦ **თხრილი გორის ხაზინის ქვეშ.** 15 ოქტომბერს ტფ. ოლქის სასამართლომ გორის ხაზინის გაძარცვის განზრახვის საქმე გაარჩია. როგორც მკითხველებმა იციან ამ საქმის გამო 10 კაცი იყო სამართალში მიცემული. ეს პირნი შეიპყრეს 23 აპრილს 1909 წ. მაშინ, როდესაც ერთი სახლიდან ხაზინამდე თხრილი გაიყვანეს და გაძარცვის განზრახვის სისრულეში მოყვანას თითქმის აღარა აკლდარა. სასამართლომ ბრალდებულთ შემდეგი სასჯელი მიუსაჯა: გ. ქუთათელაძეს, ლორთქიფანიძესა და მაყაშვილს—ლირსების ახდა და ხუთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, შენგელიას—ოთხი წლის ციხე, ჩიტაშვილს—3½ წლის ციხე, წულაძე სასამართლომ დამნაშავედ იცნო მხოლოდ სხვის პასპორტით ცხოვრებაში და სამის თვის ციხე მიუსაჯა. ცოლ-ქმარი ჩიტაშვილები, ე. და ვ. მინდიაშვილები და გლურჯიძე სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ ქუთაისში ბევრი ყურძენი შემოდის ფუთი მანეთობაზე იყიდება, ზოგჯერ მეტადაც.

✦ პ. ბაბუნაშვილს ნებართვა უთხოვნია, რათა ქუთაისში გამოსცეს ყოველდღიური ქართული **გაზეთი „მერცხალი“**

## ოზურგეთი

✦ ოზურგეთელმა მღ. სიხარულიძემ მ. თალაკვაძემ და გ. ურუშაძემ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს **ლორის მომშენებელ საზოგადოების დაარსების თაობაზე.**

## ლანჩხუთი

✦ **იასონ გაბილაიამ** წაიკითხა ლექცია კოოპერაციაზე. ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ **აქ მომხმარებელ საზოგადოების დაარსება** განიზრახეს.

## ახალციხე

✦ 6 ოქტომბერს ახალციხის ადმინისტრაციამ და საზოგადოებამ გააცილა ახალციხის მაზრის უფროსი **თ-დი ივ. გ. ყარალაშვილი,** რომელიც თიანეთის მაზრის უფროსად გადაიყვანეს.

✦ **სოფ. არალი.** (ახალციხის მხარე) აქ დაარსდა ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. მასწავლებლად დანიშნეს ალექსანდრე ხითარიშვილი.

✦ **ახალციხელ ებრაელებს** მეფის მოადგილემ ნება დართო, ერთკლასიანი სკოლა გაეხსნათ, მაგრამ სახალხო სკოლების დირექტორს შეუძლებლად უცვნია სკოლის გახსნა, უსახსრობისა გამო.

✦ **სოფ. საყუნეთის** (მაჰმად. სოფელი ახალციხ. მხარე) ეკლესიის გვერდით მრავალი ადამიანის ძვლები აღმოჩენილა, ნიაღვრების გამო. საჭიროა აწყვერის მღვ. ევ. ინასარიძემ ყურადღება მიაქციოს, რადგანაც, თურმე ხალხი და საქონელი ფეხქვეშ სთელავს,

✦ **ახალციხე.** სოფ. ტამალელებს ტყეში მოუსწრიათ ხიზაბავრელ გლეხ სვიმონ ველიჯანიშვილისათვის და ცულით თავი მოუჭრიათ. ამბობენ ეს იმის სამაგიერო იყო, რომ შარშან ხიზაბავრელებს კეტით მოუკლავთ ტამანელი მთვრალი გლეხი, რომელსაც რევოლვერი გაესროლნა და ბავშვი შემოჰკვდომოდა.

# დეპეშა
(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

## ფ ო თ ი.

მასწავლებელ პეტრე ქუთათელაძის თაოსნობით ნაბადაში აირჩიეს კომისია, რომელშიაც არიან: ჯიბლაძე, მახარაძე, მილორავა და მაკაწარია. განზრახულია ქართულ სკოლის დაარსება. წ. კ. გამ. საზოგადოების განყოფილებამ ერთხმად გადასწყვიტა ამ სკოლის დაარსება.

# სასამართლო

## ქ. კავკავი.

### თავ. უჩა კ. დადიანის საქმე.

ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს, კავკავის საოლქო სასამართლოში დანიშნული იყო თავ. უჩა დადიანის საქმის ხელმეორედ გარჩევა.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, საოლქო სასამართლომ თავ. უჩა დადიანი და მასთან ერთად ალშიბაია, ბობოხიძე, კახიძე, ბაკურია და ცინცაძე ალ. დადეშქელიანის მკვლელობის თაობაზე წინედ დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა დადიანს 20 წლის კატორღა, ლშიბაიას და ბობოხიძეს 12 წ. კახ ძეს 10 წლის კატორღა და ბაკურიას—ერთი წლის ციხე, ხოლო კნ. ვ. დადეშქელიანს და ფერშალი ზაქარაია უდანაშაულოდ იცნო. ცინცაძის საქმე, ავადმყოფობის გამო, გამოყოფილ იქნა საერთო გარჩევიდან. საქმე ხელმეორედ გასარჩევად გადატანილ იქნა პალატაში უჩა დადიანის საჩივრისა და კნ. ვ. დადეშქელიანის გამართლებით უკმაყოფილო ბრალდებულის ამხანაგისა.

დამნაშავეთ იცავდნენ: ნაფ. ვექ. ჩიაბოვი, ზაიცევი, მიქელაძე, მუტუშევი, ქიქოძე, კლანკი, ფალავა, დიგუროვი და პუზოვი. სამოქალაქო უფლებათა მაძიებლად გამოვიდა ალექსეევ-მესხიევი.

სასამართლოში არ გამოცხადდა ხუთიოდე მოწმე, მათ შორის დ. მაჭავარიანიც, რომელიც ამ ჟამად ქუთაისის სატუსაღოში იმყოფება. ვინაიდან ამ უკანასკნელ მოწმის ჩვენებას ჭეშმარიტების აღსადგენად ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, დამცველებმა სასურველად დაინახეს საქმის გარჩევა გადადებულიყო სხვა დროსთვის, როცა მოწვეულ იქნებოდა ხსენებული მაჭავარიანი.

მსაჯულთა პალატამ ცოტა ხნის თათბირის შემდეგ ეს თხოვნა უსაფუძვლოდ სცნო და საქმის გარჩევას შეუდგა.

რამდენიმე დამცველმა მოითხოვა საქმის გარჩევა ქ. ბათუმში გადატანილიყო, რათა ყველა მოწმეთ შეძლება მისცემოდათ საქმის გარჩევას დასწრებოდნენ, მაგრამ სასამართლომ ეს შუამდგომლობაც უყურადღებოდ დასტოვა.

სასამართლო გაეცნო ვიღაც ცხონდიას მიერ ოთარ დადეშქელიანთან მიწერილ ბარათს და იმ დასკვნას დაადგა, რომ ოთარ დადეშქელიანი და სამსაჯულოს გამომძიებელი მოწმეებს ძალას ატანდნენ მიეცათ ეს თუ ის ჩვენება.

ნაფ. ვექ. ჩიაბოვი სთხოვს სასამართლოს თავმჯდომარეს ეს წერილი შემოწმებულ იქნას ექსპერტების მიერ და ამის შესახებ მოწმეებსაც ეკითხოს.

ეს თხოვნაც სასამართლომ უმნიშვნელოდ დაინახა.

ალექსეევ-მესხიევი ლაპარაკობს ცხონდიას წერილის თაობაზე და მოითხოვს საქმის გადადებას შემდეგ დროსათვის, როცა მოწვეულ იქნებიან მოწმეები, რომელთა ჩვენებით ოთარ დადეშქელიანის პიროვნებას დანაშაულის ჩრდილი ადევება. ჭეშმარიტების საფუძვლიანად გამორკვევისათვის იგი აუცილებელ საჭიროებად სთვლის საქმის დაწვრილებით გარჩევას.

ერთი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: ცხონდიას წერილის გამო პალატა საჭიროდ სთვლის აწარმოვოს გამოძიება, მოიწვიოს თვით ცხონდია მოწმედ და გამოიკვლიოს საიდან ჩაუვარდა ხელში ბ-ნ ჩიაბოვს ხსენებული წერილი. ამის გამო საქის გარჩევა გადაიდოს.

**ბარონ.**

# სხვა და სხვა ამბავი

**ალექსანდროვის განთავისუფლება.**

ამ მოკლე ხანში მილიუკოვის ლექციის გამო დატუსაღებული ალექსანდროვი გაანთავისუფლეს. სამაგიეროდ გადაახდევინეს ჯარიმა 500 მან.

**სტუდენტების დათხოვნა.**

მოსკოვის უნივერსიტეტში ჰომხდარ არეულობის გამო პრორექტორის განკარგულებით დათხოვნილია 13 სტუდენტი.

**ნაზარიანცის გარდაცვალება.**

11 ღვინობისთვეს მოსკოვში გარდაიცვალა სომხის ამაღლების ეკლესიის მღვდელი ნაზარიანცი. ნაზარიანცი ფრიად განვითარებული და ღრმად განათლებული კაცი იყო. ნაზარიანცი სომხებში ცნობილი იყო, როგორც პუბლიცისტი და ბელეტრისტი. იგი ითვლებოდა ერთ-ერთ ძველ თანამშრომლად გაზეთ „მშაკისა“.

**საზონოვის პოზიცია.**

როგორც პეტერბურგის გაზეთები სწერენ, საზონოვის პოლიტიკა ჰპალაში მოიწონეს. ამ რიგად საზონოვმა თვისი პოზიცია ბალკანეთის საქმეეში გაამაგრა.

**გუჩკოვი და საზონოვი.**

„კიევლიანინი“ სწერს, რომ როდესაც გუჩკოვი ბულგარეთიდან დაბრუნებულა საზონოვისთვის უთქვამს: ბალკანეთის ომი ოსმალეთთან აუცილებელიაო. საზონოვს დაუმშვიდებია გუჩკოვი სიტყვებით: „ნუ გეშინიათ, ომი სრულიად არ მოხდებაო“.

**ბულგარეთის მეფის დეპეშა.**

სლავიანთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნ. ი. გუჩკოვმა ბულგარეთის მეფისაგან მიიღო საპასუხო დეპეშა, სადა ბულგარეთის ხალხისა და ჯარის სახელით სლავიანთა კომიტეტს მადლობას უძღვნის დახმარებისთვის და ლოცვისოვის.

**ლიუცკანოვი მოსკოვში.**

მოსკოვში ბულგარეთის შინაურ საქმეთა მინისტრს ლიუცკანოვს 12 ღვინობისთვეს მოელოდნენ. ლიუცკანოვი მოსკოვში ორ დღეს დარჩებოდა შემდეგ ბულგარეთში უნდა გამგზავრებულიყო.

# პატარა ფელეტონი

## მაღლობზე.
(მულტატულიდან).

### I

მაღლა მოწმენდილ ცის სივრცეში დაჰფრიალებდა ნაზი პეპელა. იგი აღფრთოვანებული იყო თავის სილამაზით, თავის თავისუფლებით. იგი მოეხიბლა ცის დიდებულ სიმშვენიერეს და შებრალების თვალით დასცქეროდა დაბლა მყოფთ.

— აქ ამოფრინდით, აქა!—ჩამოსძახოდა იგი თავის მოძმეთ, რომელნიც დედამიწაზე ჯაგებში დანავარდობდნენ.

— არა, აბა, რა საჭიროა? აქ თაფლი გვაქვს, აქ გვირჩევნია.

— არა, ჩემო კარგებო, რომ იცოდეთ, როგორ მომხიბლავი და სასიამოვნოა [illegible] ყოფნა, ასე აღარ იტყოდით. მაშ, ჩქარა, ჩქარა ამოფრინდით [illegible] დარწმუნდეთ.

— მერე მანდ ყვავილები არის, რომლიდანაც ჩვენ შევვძლოს ტკბილი წვენი ვწუწნოთ? ხომ იცი, აუცილებელია ჩვენთვის თაფლი? უიმისოდ სიცოცხლე არ შეგვიძლიან.

— აქედანაც კარგა სჩანს ყვავილები და ესეც ხომ ნეტარებაა.

მერე, თაფლი? თაფლი კი გაქვს მანდა?

— არა... მხოლოდ თაფლი არ არის, აქა...

საწყალმა ნაზმა პეპელამ, რომელიც ვერ შეეთვისა დედამიწაზე ცხოვრებას, და გათამამებული მიისწრაფოდა ცაში, თავისუფლებისაკენ, მოქანცულობა იგრძნო. იგი ცდილობდა მოეკრიფა მთელი ძალღონე, რომ დაბლა არ დაშვებულიყო. ხარბად ეწაფებოდა ყოველ ლამაზ სანახავს, რომელიც მის თვალწინ გადაშლილიყო. სცდილობდა რაც შეიძლება მეტად დამტკბარიყო ზეციურ სიმშვენიერით.

თაფლი? თაფლი არ არის,... აქ, ზევით, თაფლი არ მოიპოვება!..

სრულებით მისუსტდა საბრალო პეპელა. ფრთებს ძლივს-ღა ამოძრავებს, აგერ ველარ შეიკავა თავი და ეშვება დაბლა. თვალები სრულიად მიელულა და გარშემო მიდამოს ძლივს ღა არჩევს, ცდილობს კვლავ დაინახოს ყველა ის სილამაზე ბუნებისა, რომელმაც ესე სასიკვდილოდ მოჰხიბლა. ერთი უკანასკნელად დაინახოს, გამოემშვიდობოს... მაგრამ ამაოდ, ღონე უფრო და უფრო გამოელია და პეპელა დედამიწისკენ წამოვიდა.

— აი, შენც კვლავ ჩვენ გვიბრუნდები!—შესძახეს დაბლა მყოფმა მეგობრებმა. ჩვენ აკი გაფრთხილებდით და გეუბნებოდით, რომ უთაფლოდ ვერ გასძლებდი? აი, შენც კვლავ მოხველ, რომ ჩვენთან ერთად სწუწნო მკურნალი თაფლის წვენი, ჩვენ წინადვე ვგრძნობდით, რომ ასე მოხდებოდა.

ასე უხაროდათ ნაზ პეპლებს, რომ მათი წინასწარმეტყველება გამართლდა, მეტადრე იმიტომ რომ მათ არას დროს არ მოჰსურვებიათ თავისუფლად მაღლა ცაში ყოფნა.

— აბა, მაშ ჩქარა გამოეშურე ჩვენსკენ და ჩვენთან ერთად მოიკალ წყურვილი ტკბილის წვენით.

პეპელა კი სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდა. აგერ მშვენიერ ყვავილების ჯგუფი, ჩქარა, იმათკენ... ნუ თუ ვერ მიაღწევს? საბრალო პეპელა ეხლა ნელ-ნელა კი აღარ ეშვება, არამედ თვალის სისწრაფით მოექანება დაბლა. აგერ ცოტა კიდევ და... იგი დაეცა შარა გზაზე, იქვე ლამაზ ყვავილების გვერდით.

საბრალო პეპელა!

იგი გასრისა გზაზე შიმავალმა ჯორმა.

# ერობა და ჩვენი საზოგადოების გულგრილობა

„სახალხო გაზეთი“-ს 688 ნომერში ერობისა და მის მნიშვნელობის შესახებ ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო წერილი იყო მოთავსებული. ეს წერილი ეკუთვნოდა ბ. Joenesco-ს. ამ წერილის შესახებ არც „დილა“-ს, არც „თემს“, არც „ქართლსა“ და არც „კოლხიდა“-ს ხმა არ ამოუღიათ; ის საკითხი, რომელსაც ეხებოდა ხსენებული წერილი, ის პრაქტიკული დამოკიდებულება, რომელიც ჩვენ უნდა დავიჭიროთ ამ საქმეზე, ყრუთ მიაგდეს, მიაფუჩეჩეს.

მერე ასეთი დამოკიდებულება ამ საკითხზე შესაწყნარებელია? განა ასე უნდა მოვექცეთ იმ საქმეს, რომლის განხორციელება აუცილებელია ჩვენი სოფლის მთელ ცხოვრების გასავითარებლად და აღსადგენად?

ამ ახლო მომავალში მუშაობას დაიწყებს მეოთხე სახელმწიფო სათათბირო. ამ სახ. სათათბიროში მთავრობის და ადგილობრივ ძალებს განზრახული აქვთ შეიტანონ მთელი რიგი კანონ-პროექტებისა.

მთელ კავკასიის შესახებ პირველ ყოვლისა სახელმწიფო სათათბიროს ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის მხრივ წარედგინება გადასაჭრელად კანონ-პროექტი უმაღლეს სასწავლებლის შესახებ, შემდეგ გლეხთა საკითხიდან—ხიზანთა მდგომარეობისა და მის მოსპობის შესახებ. ერობისა, ნაფიც-მსაჯულთა და სხვა სოციალურ რეფორმების შესახებ ჯეროვით ადგილობრივი ადმინისტრაცია ყურსაც არ იბერტყავს. თუ გასულ წლებში, მთავრობამ თავისი ინიციატივით შეიტანა დროებით ვალდებულ გლეხების შესახებ კანონ-პროექტი, ეს გარემოება ნურავის დააბრმავებს. ბატონ-ყმური ნაშთის უარისყოფა და გადაგდება დღეს, როდესაც ასეთი დამოკიდებულება თვით რუსეთში 1870 წლებიდან ოფიციალურად იყო გადაგდებული, დღეს საქმედ არ ჩაითვლება. ჩვენთვის საჭირო რეფორმებზე ისევ ჩვენ თითონ უნდა ვიზრუნოთ. მერე ვიქცეოდით ასე?

გაიხსენეთ მესამე სათათბირო და ჩვენი საზოგადოების მოქმედება. რამდენიმე საჭირო კანონპროექტი იყო შეტანილი სათათბიროში. სწარმოებდა ცხარე კამათი. საკითხია, იღებდა ამ ბრძოლაში ჩვენი საზოგადოება შეგნებულსა და შეკავშირებულ მონაწილეობას? იმის და მიხედვით ვარკვევდით, ვეხებოდით იმ საკითხებს, რომელნიც სათათბიროში იყვნენ წარდგენილნი? ვამოძრავებდით მთელს ჩვენს შესაძლებელ გავლენას?

როგორი დეპუტატიც არ უნდა გვყავდეს სათათბიროში, ჩვენი საზოგადოების მოვალეობაა მეტად ფხიზელი დამოკიდებულება იქონიოს მასთან. ყოველს კანონპროექტზე, ყოველს საკითხზე, რომელიც სათათბიროში იქნება აღძრული და წამოყენებული თავის დროზე ჩვენვე უნდა ამოვიღოთ ხმა, ჩვენვე უნდა გავარჩიოთ ეს საკითხი, გადავშალოთ მისი ნამდვილი შინაარსი და ასე თუ ისე მის გადასაჭრელად ყოველნაირი საშუალება მივიღოთ.

გაირჩევა უმაღლეს სასწავლებლის საკითხი, ჩვენ თუნდა ვეცადოთ, რომ უმაღლეს სასწავლებლის რაც შეიძლება საუკეთესო ტიპი იქმნას დადგენილი, რაც შეიძლება ფართე ხასიათისა და სრული. ყოველ საკითხში ჩვენ უნდა მივიღოთ პირდაპირი თუ არა პირდაპირი მონაწილეობა. რასაც მთავრობა წამოაყენებს, ის სახალხოდ უნდა იქმნას გამოყენებული, ხოლო რასაც მთავრობა არ წამოაყენებს სათათბიროში, ჩვენი დეპუტატების საშუალებით ჩვენ უნდა შევეცადოთ აღვძრათ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი ეროვნული თვით-არსებობის დაცვა დღევანდელ პირობებში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ჩვენი ვინაობა, ჩვენი საჭიროება სრულად წარვადგინოთ საკანონმდებლო დაწესებულებებში.

აი გზა, რომლითაც ჩვენ უნდა ვიაროთ.

როგორ უნდა მოვიქცეთ საერობო თვითმართველობის საკითხში?

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საერობო თვითმართველობა ჩვენთვის ძლიერ საჭიროა. ვერ დაასახელებთ განათლებულ თუ ნახევრად განათლებულ ერებსა თუ სახელმწიფოებს, სადაც სოფლად და ქალაქად თვითმართველობანი არ იყოს შემოღებული. თვით რუსეთშიაც კი, 1855—60 წ.წ. ყირიმის კამპანიის და საზოგადო მოძრაობის ზედგავლენით ალექსანდრე მე II მიერ შემოღებული იყო 1867 წ. საერობო წესები, რომლის საფუძველზედ შიდა გუბერნიების დიდი ნაწილი იქნა მოწყობილი. შემდეგ ამ 1867 წლის საფუძველმა დიდი ცვლილება განიცადა, ხოლო 1904 წელში უმაღლესად იქნა აღიარებული დემოკრატიულ წვრილ საერობო ერთეულების საჭიროება მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის.

როგორც კავკასია, ისე სხვა განაპირა ქვეყნები მოკლებულნი არიან ამ სიკეთეს. მაგრამ ერობა იმდენად საჭირო იყო ჩვენთვის, რომ 1867 წლიდან დაწყებული 1905—წლამდი მას მრავალჯერ თხოულობდა და ნატრობდა ჩვენი თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, ვაჭრები და მრეწველები, ქალაქელნი და სოფლელნი. სულ ხუთ წელში ორმოცდაათი წელი შეუსრულდება ამ საერობო მოღვაწეობას ჩვენში. ბევრი ენერგია, ბევრი შრომა, ბევრი საშუალება დაიხარჯა. ყოველივე ამაო გამოდგა. ერობას ვერ ვღირსეთ. მიზეზი ბევრნაირია. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ერობის შემოღება კავკასიაში მთავრობას საშიშრად მიაჩნდა სახელმწიფოს ინტერესებისთვის.

დღეს პირობები შეიცვალა. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ საერობო თვითმართველობა სახელმწიფოს არავითარ საფრთხეს არ უმზადებს, პირიქით ერობა ნიშნავს მართველობითი სფერაში შრომის განაწილებას და რადგანაც ერობის მართვა-გამგეობა გაცილებით უმჯობესია და სახეირო თვით სახელმწიფოსათვის, ვინემ პოლიციური მართვა-გამგეობა, ამიტომ მთავრობა თან და თან შეურიგდა საერობო თვითმართველობის საკითხს და აქა-იქ თვითონვე შემოაქვს საერობო თვითმართველობა.

კვლავ უნდა გავიხსენოთ, რომ საერობო თვითმართველობისათვის ჩვენი საზოგადოება ორმოც წელზე მეტია, რაც ზრუნავს. ამ ზრუნვამ აშკარად დაგვანახვა, რომ ჩვენი ხალხი ძლიერ მომწიფებული არის ამ საქმისათვის. 1905 წელში კი ხალხი საგანგებოდ გამართულ კრება-ყრილობებზე შეგნებულად ეხებოდა ამ საკითხს, ეხებოდა ამ ინსტიტუტის სხვა და სხვა სისტემებს და შეჰქონდა შიგ შესწორებანი. ბრმაც დაინახავდა, რომ ჩვენს ხალხში ერობის საკითხი არა თუ მომწიფდა, არამედ კიდეც გადამწიფდა, როგორც ეს მეფის მოადგილის სასახლის თეთრს დარბაზში განაცხადა აგრონომმა ბ. საკოვმა.

ეს გარემოება იმდენად გამოაშკარავდა ამ ბოლო ხანებში, რომ ადგილობრივ უმაღლეს ადმინისტრაციას არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ამ გარემოებისათვის. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი კი თავის ერთ-ერთს უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აშკარად აღიარებდა პოლიციურ მართველობის სუსტს მხარეებს და ემხრობოდა საერობო თვითმართველობის შემოღებას ჩვენს ქვეყანაში.

ის აზრი, რომელიც იყო გატარებული უქვეშევრდომილეს მოხსენებაში უმნიშვნელო იქნებოდა თუ ის პრაქტიკულ საქმეში არ იქნებოდა გამოხატული. ხალხი კი თან და თან აწვებოდა კანცელიარიების კედლებს და მოითხოვდა საქმის დაუყოვნებლივ ხელის მოკიდებას, ერობის შემოღებას. მეფის მოადგილემ განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს 1904 წლიდან მიაქცია, როცა თვით ხელმწიფემ საჭიროდ დაინახა 1864 წლის საერობო დებულებასთან შედარებით უფრო დემოკრატიულ წვრილ საერობო ერთეულების შემოღება. ამის შემდეგ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი აშკარა მომხრეა საერობო თვითმართველობისა. ის იწყებს ზრუნვას ამ საქმის შესახებ, იწვევს ადგილობრივ მოღვაწეებს თავის სასახლეში და ჰმართავს მათთან ფრიად საგულისხმიერო კამათს, საუბარს.

იმის დასახასიათებლად, თუ როგორ უყურებდა ერობის საკითხს მეფის მოადგილე კავკასიაში, ჩვენ მოვიყვანთ მის სასახლეში გამართულ კრების ანგარიშიდან მცირე ცნობას. მეფის მოადგილის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სურვილის თანახმად, სასახლეში მოიწვიეს ადგილობრივი საზოგადო მოღვაწეები. ორმოცდაათ კაცზე მეტი შეიკრიბა. კრება გახსნა თვით მეფის მოადგილემ 16 ივლისს 1905 წელს და კრების გახსნისას წარმოსთქვა შემდეგი: „დღევანდელი დღე შესანიშნავ დღედ ჩაითვლება კავკასიის მატიანეში, ხელმწიფე იმპერატორის წინასწარ მოსაზრების თანახმად, შესახებ ქვეყნის მოწყობისა, მე თქვენ მოგიწვიეთ საძირკველი ჩაუყაროთ საერობო დებულების შემუშავებას კავკასიაში [1]). მე დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთი კუთხე კავკასიისა სრულიად მომწიფდა საერობო თვითმართველობის ისეთ ფორმებისათვის, რომელნიც მიღებული იქნებიან დანარ-

[1]) იხ. Извлеченіе изъ журнала засѣданія совѣта Намѣстника 16—905 წ. თუმანიშვილის წიგნაკში.

II.

მაღლა, სივრცეში, დაჰფრიალებდა ლამაზი ნაზი პეპელა. იგი აღფრთოვანებული გახარებული იყო თავის სილამაზით, თავის თავისუფლებით, იგი გაეტაცნა ცის სიმშვენიერეს და შებრალების თვალით დასცქეროდა დაბლა მყოფთა.

იგი ეძახდა თავისთან მაღლა, ცაში, თავის მოძმეთ. მაგრამ მათ ვერ გაებედნათ მაღლა აფრენა. არ უნდოდათ მოჰშორებოდნენ სურნელოვან და ტკბილ თაფლით გაჟღენთილ ყვავილებს, რომლითაც ტყემინდორი მოფენილიყო. სამაგიეროდ ამ ცელქ პეპელასაც არ უნდოდა დაბლა დარჩენოა, სადაც ყოველ წუთს შეეძლო გაევლო ჯორს და ტლანქი ფეხით გაესრისა ნაზი, ლამაზი არსება.

მაგრამ რადგანაც მისთვის საზრდოთ თაფლი იყო საჭირო და თაფლი კი ცაში არ მოიპოებოდა, იგი აფრინდა ლამაზ ყვავილებით შეფენილ მაღალ მთის ფრიალოზე რო ჯორს ველარ შესძლებოდა იქ ასვლა.

მხიარულად დაფრინავდა ერთი ყვავილიდან მეორეზე ცელქი ნაზი პეპელა, სვამდა სურნელოვან წვენს და თან გული სიხარულით ევსებოდა, როცა გაახსენდებოდა რო დაბლა ჩასვლა აღარ დასჭირდება.

როცა გადიხედავდა ხოლმე დაბლა და დაინახავდა თუ როგორი საშიში საფრთხე მოელით მის მოძმეთ, რომელნიც შარა გზაზე დანავარდობდნენ, სცდილობდა როგორმე განსაცდელისაგან დაეხსნა და გაეფრთხილებინა; ამიტომ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნაზ ფრთებს უქნევდა და ანიშნებდა რო იმასთან აფრენილიყვნენ.

ისინი კი ვერ ჰხედავდნენ მას, მათ არ ესმოდათ იმისი ძახილი, ისინი ყველანი გართულიყვნენ თაფლის ძებნაში და აზრადაც არ მოსდიოდათ რომ იქ მაღალ და ლამაზ მთაზედაც იპოებოდა სურნელოვანი, ნაზი, ყვავილები, რომელნიც მთიდან დაჰყურებდნენ და კეკლუცად თავდახრილნი სალამს უძღვნიდნენ დაბლა მყოფთ.

**ს. შალამბერიძე.**

# ქუთაისის ამომრჩეველნო!

# აირჩიეთ

**ივანე გიორგის ძე აბაშიძე**, იურისტი, ჭიათურა.
**გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი**, იურისტი, ქუთაისი, კაზაკოვის ქ., საკ. სახ.
**დავით გესარიონის ძე ხელთუფლიშვილი**, ნაფიცი ვექილი, ქუთაისი, ივანოვის ქუჩა.

# ბალკანეთის ომი

## დეპეშები.

### კირკილისის დაბრუნება.

**სტამბოლი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კირკილისი ხალმიბეის დივიზიამ უკან დაიბრუნაო. ხალმი-ბეი ბრძოლის დროს დაიჭრა; იგი გენერლობით დააჯილდოვეს. შეფკეტ-ტურგუტ-ფაშა გაიგზავნა კირკილისში. ბულგარები სტოვებენ ადრიანოპოლის ახლო-მახლო მიდამოებს და მარაშში იკრიბებიან. „ტანინს" ატყობინებენ, რომ რამდენიმე ათასი ალბანელი ეუბ-ბეი და ნიაზიბეის მეთაურობით მონასტერში მივიდნენ და მოხალისეთ ჩაერიცხნენო. ოსმალეთის გაზეთები ერთობ უარჰყოფენ სახელმწიფოთა ჩარევას მათ საქმეში.

### ბულგარეთის მხრით.

**სტარო-ზაგორა.** ფერდინანდ მეფე შვილებითურთ კადიკიოს სადგურზე წავიდა. ამ პუნქტამდე, თითქმის ადრიანოპოლის ძირამდე, ბულგარეთის ჯარის მოძრაობაა. გზათა მინისტრი მეფეს შემდეგი სიტყვით მიეგება: „მეფევ, შენ პირველმა შესდგი ფეხი დაპყრობილ ქვეყანაში; გადააბიჯე ფეხი მტრის იარაღს, შენ ფერხთა ქვეშ რომ არის დაყრილი."

კადიკში, ბულგართა ეკლესიაში გადაიხადეს პარაკლისი. მეფემ დაათვალიერა ბულგარების მიერ აღებული პოზიციები ადრიანოპოლის მახლობლად.

**სოფია.** მდინარე ბიგალიცის ხეობაში ბრძოლა სწარმოებს. წვიმების გამო გზები გაფუჭებულია, მოძრაობა გაძნელებულია. ოსმალები არა ჩვეულებრივ სიძკაცრეს იჩენენ ბულგარელ ტყვეების მიმართ. ხშირად ბულგარების დასახიჩრებულ გვამებს პოულობენ. ოსმალები სრულიად არ აქცევენ ყურადღებას თავიანთ დაჭრილ და მომკვდარ ჯარის-კაცებს. ბულგართა საავადმყოფოში ბევრი დაჭრილი ოსმალოს აფიცერი და ჯარის-კაცია, რომელთაც დიდის გულდადებით უვლიან. ელეონორა დედოფალი განაგებს სასანიტარო საქმეს ფილიპოპოლში, თვით უვლის დაჭრილებს. ბულგარებმა 58 ზარბაზანი წაართვეს ოსმალებს კირკილისის აღების დროს. ტყვედ წაიყვანეს 1200 ოსმალო.

**ათინა.** ბულგართა ჯგუფს უსკიუბს-სალონიკის გზაზე დაეცა ოსმალოს ჯარი. ბულგარებმა თავი იხსნეს. ოსმალებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს სოფელი.

**სტაროზაგორა.** ადრიანოპოლის გარშემო ყველა უცვლელად არის. ადრიანოპოლს ალყა აქვს შემორტყმული, და ბულგართათვის არავითარ საფრთხეს წარმოადგენს. მთავარი ძალები წინ იწევენ. მაკედონიაში ბულგარების ჯარი სულ წინ მიდის, პაჩევ-ნევროკოპს გასცილდა. რაც პაჩევ-ნევროკოპის ზემოდ არის, ბულგარების ხელშია.

**სტამბოლი.** ოფიციალურ ცნობებით ხილმი-ბეიმ კირ-კილისებთან ბრძოლის დროს დიდი ზარალი განიცადა, თითქმის ბულგარეთის ზარალის თანასწორი.

### სერბიის მხრით.

**ბელგრადი.** „სერბიელთა კოლოს" საზოგადოებამ ერთ დღეში მოაწყო საავადმყოფო 110 საწოლით. ეს საზოგადოება ყოველნაირ შემოწირულებას დიდის მადლობით მიიღებს.

**ბელგრადი.** კნეინა ელენეს მოწყობილი საავადმყოფო 50 საწოლით მოვიდა და ვენისაკენ მიეშურება.

**ათინა.** საბერძნეთის მეფემ დეპეშა გაუგზავნა ვენეზილოსს: გიგზავნი სალამს კოჟანოვიდან, ვამაყობ არმიის ღირსებით და მხნეობით, რომელიც ჩემი შვილის უფროსის ქვეშ იმყოფება, ჯარმა თავის ქვეყნის ღირსება დაამტკიცა და მედგრად მიიწევს იქით, საითაც მოვალეობა უხმობს". ბერძნების მიერ დაპყრობილ ადგილებში ბერძნები თავიანთ სამოქალაქო წეს-წყობილებას ამყარებენ.

**ათინა.** მეფე სირვიიდან კოჟანოში წავიდა. მივიდა. პირეიში გემი ჩერნოგორელებით, რომელნიც სამშობლოში ბრუნდებიან. ეპირის ჯარმა დაიჭირა კუნსადესის, პეტევეგადიასი და ლიუროსის გასავალი.

**ათინა.** მოვიდა ეგეის კუნძულებიდან 300 მოხალისე.

**პეტერბურგი.** „წითელ ჯვრის" საზოგადოების საგანგებო კრებამ ნება დართო მთავარ გამგეობას ისესხოს სათადარიგო თანხიდან ერთი მილიონი მანეთი ბალკანეთის ჯარის დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა დასახმარებლად.

### ოსმალეთი.

**სტამბოლი.** ქილმი-ფაშა დანიშნეს ელჩად ვენაში. იგი მიდის იქ 18 ღვინობისთვეს. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი რეშიდ-ფაშა პარიზში ელჩად დაინიშნა. კაბინეთის შეცვლას მოელიან. ქიამილი კანდიდატია დიდი ვეზირისა. თავის თანამდებობაზე დარჩებიან გარეშე საქმეთა მინისტრი ნარუდინგიანი, სამხედრო მინისტრი ნაზიმ-ფაშა, ფინანსების მინისტრი აბდურახმან და შინაგან საქმეთა მინისტრი დანიში.

მცხოვრებნი სტოვებენ ქალაქ უსკიუბს.

## გაზეთებიდან.

### სერბიის მხრით.

### სერბიის ჯარი წინ მიიწევს.

პრიშტინის გამარჯვებამ სერბიის ჯარი აღაფრთოვანა. ოსმალები ისეთის სისწრაფით იხევენ უკან, თითქოს რაღაც უცნობი გეგმა აქვთ განზრახულიო. სერბიელები გადამწყვეტ ბრძოლისთვის ემზადებიან.

### სერბია-ბულგარეთის შეერთებული ჯარი.

ბულგარეთის რაზმი კუმანოვიდან 25 ვერსის მანძილზე იმყოფება. ერთი დღის შემდეგ იგი სერბიელებს შეუერთდება და უსკიუბს მიაშურებს.

### სერბიელები კოსოვოს ველზე.

ბელგრადიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ გენ. იანკოვიჩმა ლაბის მთელი ოლქი დაიჭირა და კოსოვოს ისტორიულ ველზე გადავიდა.

### სერბიისა და ჩერნოგორიის ჯარის შეერთება.

ვენიდან იტყობინებიან: ხმებია, რომ სერბიისა და ჩერნოგორიის რაზმები უკვე შეერთდნენ ნოვო-ბაზარის მიდამოებშიო.

### უმთავრესი ბანაკი.

სერბიის ჯარის უმთავრესი ბანაკი ნიშიდან სამხრეთით, ქ. ვრანიეს გადაიტანეს.

### ბულგარეთის მხრით

ბულგარები მუსტაფა-ფაშისა და კირკილისეს მხრივ უახლოვდებიან ადრიანოპოლს. უკანასკნელ დღეებში ბულგარებმა აიღეს დაბა ხასკოი, რომელიც ადრიანოპოლიდან 20 კილომეტრის მანძილზეა. ადრიანოპოლის ვალიმ ქალებს უბრძანა ქალაქიდან გაიხიზნეთო.

### რაზლოგის დაპყრობა.

რაზლოგი დასტოვეს ოსმალებმა. მთელი ქალა ბულგარების ხელშია.

### ბულგარეთის მფრინავი.

ვენიდან იტყობინებიან: ბულგარეთის მფრინავმა კურცოვმა ადრიანოპოლის სიმაგრეები დაათვალიერა. ოსმალებმა სროლა აუტეხეს, მაგრამ უნაყოფოდ.

### საწინააღმდეგო ცნობები.

ბერლინიდან იუწყებიან: ბულგარეთის საომარ ასპარეზიდან მეტად არეული ცნობები მოდის: ერთის მხრივ იტყობინებიან, რომ კირკილისეს ახლოს ბულგარებს 3.000 კაცი მოუკლეს და უკუ აქციესო, ხოლო მეორეს მხრივ—გამარჯვება ცვალებადიაო.

### ოსმალეთის გემების დაზიანება.

„ფოსიშე ცეიტ." სტამბოლიდან ატყობინებენ: ოსმალეთის კრეისერები და ორი ნაღმოსანი, რომელნიც ვარნის ნავთსადგურის თავდასხმაში იღებდნენ მონაწილეობას, დიდად დაზიანებულნი, სტამბოლს დაბრუნდნენ.

### სანაპიროების გამაგრება.

ბალჩიკისა, ვარნისა და ბურგასის სიმაგრეებს საჩქაროდ აძლიერებენ.

### სანანსკის „ჩეტნიკები".

„ცეიტი" იუწყება: ოსმალეთის დიდი რაზმი, რომელიც ჯუმიდან მოდიოდა, სანდანსკის „ჩეტნიკების" საფარს წააწყდა. „ჩეტნიკებს ტყვედ ჩაუვარდა ბევრი ოსმალო და სამი ზარბაზანი.

### ჩერნოგორიის მხრივ.

„ნეიე ვიენ. ტაგებ". ატყობინებენ: ჩერნოგორელებმა ტარაბოშის წინააღმდეგ ბრძოლა განაახლეს. ამასთანავე მათ განზრახვა აქვთ მოპირადაპირეს ზურგიდან მოექცნენ. სკუტარისკენ იძვრის შუათანა რაზმი მემკვიდრე დანილოს წინამძღოლობით.

### ჩერნოგორიის იერიში.

ტარაბოშთან ბრძოლაში ორივე მხარეს დიდი ზარალი მოსდით. რაზმებს 7% დააკლდათ. განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდათ ჩერნოგორელებს მდ. ბოიანის ნაპირზე და შიპჩანიკზე.

### დიდძალი ტყვე.

„ნეიე ფრ. პრესეს" ათინიდან ატყობინებენ: რადგან ჩერნოგორიას არ შეუძლიან დატყვევებულ ოსმალოთა რჩენა, მეფე ნიკოლოზმა საბერძნეთის მთავრობას შეუთვალა: ნება მომეცით, ნაწილი ტყვეებისა საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე გადავიყვანოო.

### საბერძნეთის მხრივ.

„ბერლინ. ტაგებლ"-ის ცნობით, სარანტოპოროს ახლოს სერიოზული ბრძოლა მოხდა. ოსმალებმა 22 ბატალიონი და 5 ბატარეია გამოიყვანეს. ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, ოსმალები უკუაქციეს. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა.

### მემკვიდრის დაჭრა.

ხმებია, საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე ელასონის ბრძოლაში დაიჭრაო; მისი ცხენი მოუკლავთ.

### ოსმალთა სასტიკი დამარცხება.

თესალონიაში დიდი ბრძოლა მოხდა. ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ და გაიქცნენ. ბერძნებს ტყვედ ჩაუვარდათ მრავალი ოსმალო და 22 ზარბაზანი.

### საბერძნეთის ფლოტი.

„ფოსიშე ცეიტ." სტამბოლიდან ატყობინებენ: ბერძნებმა აიღეს კატარინის ნავთსადგური სალონიკის ყურეში.

### ოსმალეთის მხრით

### ჯარის სამზადისი.

ადრიანოპოლის ჯარის უფროსმა აბდულაჰ-ფაშამ დამხმარე ჯარი მიიღო და გადასწყვიტა წინ წაწევა. გუშინ ნაშუადღევს გასცა ბრძანება: დაიძარით ბულგარების მთელი სიმაგრეებისკენო.

### ადრიანეპოლთან.

დაიწყო დიდი ბრძოლა. ოსმალები წინ მიიწევენ, ორივე მხარეს დიდი ზარალი მოსდის.

### ცხენოსანთა რაზმის დამარცხება.

ირიკლეს ახლოს ოსმალებმა უკუ აქციეს ბულგარების ცხენოსანი რაზმი. ერთი კაცი ტყვედ ჩაუვარდათ.

### ოსმალთა გამარჯვება.

სტამბოლიდან ოფიციალურად იუწყებიან: ოსმალებმა დემერიჩამდე წინ წაიწიეს. მდ. ტუნჯის ნაპირზე შეჰხვდნენ ბულგარების ძლიერ რაზმს. გაჩაღდა ბრძოლა, რომელიც ოსმალების მხარეს იხრება. ბულგარების მოხალისენი, რომელთა უმეტესობას გლეხები შეადგენდნენ, კრესნის ღელეში შეიკრიბნენ და თავს დაესხნენ ოსმალთა რაზმს, რომელმაც იგინი მოიგერა.

### ბრძოლა კირკილისესთან.

სტამბოლიდან იტყობინებიან: ადრიანოპოლისა და კირკილეს შუა გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა, რომელიც 9 საათს გაგრძელდა. ბოლგარებმა 3.000 კაცი დაჰკარგეს და ყარააგაჩისკენ დაიხიეს. ოსმალეთის მხრივ 140.000 კაცი იბრძოდა ბულგარეთის მხრით კი—120.000.

### ოსმალეთის დამხმარე ჯარი.

ავსტრიული წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ოსმალთა მე-20 დივიზია 6 ბატარეით მიეშურება გუსინიესა და პლავას საშველად.

### ოსმალეთის ფლოტი.

ოსმალეთის კრეისერი, რომელსაც ბულგარეთის ნაღმოსნები სასტიკ თვალ-ყურს ადევნებენ, ნაპირიდან 15 ვერსის მანძილზე დასცურავს გალაცსა და ევქსინოგრადს შუა. სამი ტრანსპორტი ჯარით 9 ოქტომბერს შავიზღვისკენ წავიდა.

### ომი და სახელმწიფოები

„ჟურნალ ოფისიელ"-მა გამოაქვეყნა საფრანგეთის ნეიტრალიტეტი. ფრანგებს აეკრძალათ მოხალისეებად წასვლა.

### გერმანის ნეიტრალიტეტი.

გერმანიის ელჩმა ნორადუნგიანეფენდის განუცხადა, გერმანი ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

### ავსტრია და რუსეთი.

ავსტრია-ჰუნგრეთისა და რუსეთის ელჩებმა პორტას აცნობეს: რუსეთი და ავსტრია თავისუფალ მოქმედების უფლებას იტოვებსო.

### ა თ ი ნ ა.

ელასონთან ბრძოლის დროს, საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე მსუბუქად დაჭრილა.

### პ ა რ ი ზ ი.

იუწყებიან, რომ ოსმალეთის ჯარს ნაბრძანები აქვს უკან დაიხიოს და ადრიანაპოლის უკან მოიყაროს თავი.

### მეომართა მდგომარეობა.

როგორც იყო გაიფანტა ნისლი, რომელიც ბულგარეთის უმთავრეს ჯარის მოქმედებას ჰფარავდა. ჩვენს დროში, როდესაც ორთქლსა და ელექტრონს ფარული აღარაფერი რჩება, სწორედ მიუწდომელია მთელი ჯარის ისე გადაყვან-გადმოყვანა, რომ უცხომ ვერ გაიგოს მისი ბინა და მიმართულება. ეს ასეა, მაგრამ ბალკანეთის ომმა სრულიად წინააღმდეგი რამ დაგვანახვა. ბულგარეთის მთავარმა სამხედრო შტაბმა ისეთი იდუმალებით შეჰმოსა თვისი ჯარის მოძრაობა, რომ ამ უკანასკნელ დრომდე არავინ იცოდა, საით წავიდა, ან რა მიზნით ქ. იამბოლიდან დაძრული 80,000 ჯარის-კაცი, რომელიც ბულგარეთის ჯარის მარცხენა აღმოსავლეთის ფრთას შეადგენდა. დღეს გამოირკვა, რომ სწორედ ამ რაზმა აიღო ადრიანოპოლიდან აღმოსავლეთით მდებარე კირკილესეს ძლიერი ციხე. მაშინ, როდესაც ოსმალეთის ჯარის მთავარი ხელმძღვანელნი მხოლოდ ამ ოთხი დღის წინად წამოვიდნენ სტამბოლიდან ადრიანოპოლს, ბულგარეთის ჯარმა თითქმის აიღო ამ საშინელი ციხის გარე სიმაგრეები. მუსტაფა-ფაშის სიმაგრეების აღების შემდეგ გენ. ივანოვი ადრიანოპოლს მიადგა, რომლის აღებასაც იგი, ალბად სასწრაფო იერიშით სცდილობს. გენ. ივანი სამის მხრით დაიძრა ადრიანოპოლისკენ. ჩრდილოეთის რაზმი, რომელმაც ამ ექვსი დღის წინად, ხასკიოისთან (20 ვერ. ჩრდილოეთით ადრიანოპოლი) დაამარცხა ოსმალთა მოწინავე რაზმები, მდ. ტუნჯის ორივე ნაპირიდან იძვროდა და 11 ოქტომბერს, არტილერიის ფიცხელ ბრძოლის შემდეგ, დაიჭირა სოფ. არნაუტ-კიოს ძლიერი სიმაგრეები, 8 ვერსის მანძილზე ადრიანოპოლიდან. დასავლეთის რაზმმა, რომელიც მდ. მარიცის ნაპირებით მიდიოდა რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ, იერიშით აიღო სოფ. კადინ-კიოს სანგრები ადრიანოპოლიდან 6 ვერსის მანძილზე დასავლეთით, დასასრულ სამხრეთის რაზმმა ფონით გაიარა ჩქარი მდინარე არდა და მამაცურის წარბშეუხრელობით მიადგა გამაგრებულ სოფელ დუცაროს, რომელიც ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღო. სოფ. დუცარო, იგივე ჩორექ-კიოი ადრიანოპოლის რკინის გზის სადგურიდან 4 ვერსის მანძილზე იმყოფება.

ამ გვარად, ადრიანოპოლის ციხის გარეშე სარტყელი ბულგარების ხელშია. ოსმალებს ვერ უშველა ვერც 9 გოჯიანმა ციხის ზარბაზნებმა და ვერც იმ გარემოებამ, რომ ციხის არტილერია ჯავშანში იჯდა. ბულგარეთის მძიმე არტილერიას ახლა თავისუფლად შეუძლია ზარბაზნების მომართვა არა თუ მხოლოდ ციხის, არამედ თვით ქალაქის წინაღმდეგაც, სადაც ყოვლად შეუძლებელი გახდება გაჩერება, რადგან ბულგარეთის არტილერია [illegible] ადრიანოპოლი [illegible] მოქმედებს სამი მხრიდან. მთელი რუმელიის მამარ ასპარეზის ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი ჯარი ჰყავს ოსმალეთს ადრიანოპოლის ზურგს უკან. 5 დღის წინად აბდულაჰ-ფაშის უმთავრესი ჯარი რკინის გზის სადგურ ბაბა-ესკიში იდგა, 35 ვერ. მანძილზე, ადრიანოპოლის სამხრეთით. თუ ადრიანოპოლის მიდამოების ბრძოლაში ამ ჯარის მხოლოდ ერთი ნაწილი იღებდა მონაწილეობას, მაშინ აბდულაჰ-ფაშას შეუძლიან შეაგროვოს დამარცხებული კორპუსები და ბაბა-ესკის სათადარიგო ჯართან შეერთებით დაიხიოს ჩატლაჯისა და სტამბოლისკენ, სანამ ახალ დამხმარე რაზმებს მიიღებდეს, თავის მხრივ იერიშის დასაწყებად. მაგრამ, თუ ადრიანოპოლთან მთელი მისი ჯარი იბრძოდა, ადვილი შესაძლებელია ოსმალთა მოქმედება დიდი უბედურებით გათავდეს და ბულგარეთის ჯარს სტამბოლისკენ თავისუფალი გზა გაეხსნას.

გენ. ივანოვის ჯარი აღმოსავლეთით იძვრის. ბულგარეთის მეორე ჯარი გენ. დიმიტრიევის უფროსობით. ამ რაზმმა მშვიდობით გადალახა ისტრანჯა-დაგის მთის ქედი და ოთხი დღის წინად მისი მოწინავე რაზმები კირკილესეს (ლოზენგრადი) ახლოს გამოჩნდნენ, ეს ძლიერი ციხე ადრიანოპოლის აღმოსავლეთით მდებარეობს, როგორც დეპეშებმა გვაცნობეს. 11 ოქტომბერს საღამოთი გენ. დიმიტრიევმა უკვე აიღო ეს დიდად მნიშვნელოვანი სიმაგრე. კირკილისს იმდენად დიდ მნიშვნელობას აწერენ სამხედრო სტრატეგები, რომ სწორედ დაუჯერებელ ამბად მიგაჩნიათ მისი აღება ორი დღის განმავლობაში. ეს ციხე ძლიერი ბურჯია ოსმალეთის ჯარის მარჯვენა ფრთისა, რომელიც ადრიანოპოლს იცავს და ბულგარებისაგან მისი აღება თვით ადრიანოპოლის აღებასაც მოასწავებს. აქედან ბულგარები ემუქრებიან არა თუ მხოლოდ ოსმალთა მარჯვენა ფრთას არამედ ზურგის ჯარსაც, რადგან კირკილისე გასაღებია ბაბა-ესქისა და თვით სტამბოლისაც. თუ ნაზიმ-ფაშა არ გაეშურება მის გამოსახსნელად, ადრიანოპოლის ბედი გადაწყვეტილია. დღეს დეპეშამ უკვე მოიტანა ამბავი, რომ ოსმალებს უკანვე წაურთმევიათ ეს მაგარი ციხე და ბულგარები იძულებული არიან ადრიანოპოლის სიმაგრეებიც დასტოვონო. ამ ცნობას რასაკვირველია კიდევ, დადასტურება ესაჭიროება, მაგრამ ასეა, თუ ისე, ოსმალთა ჯარის ხელმძღვანელებს შეუგნიათ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი კომპანიის შედეგისათვის ამ ციხის ბატონობას და ამიტომ იგინი ყოველ ღონეს მიჰმართავენ, რომ სტამბოლის გასაღები ასე ადვილად არ ჩაუგდონ მტერს ხელში. სჩანს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ ამ მიდამოებში მოხდება (ადრიანოპოლ-კირკილისე) რადგან აქ გამარჯვებულ ბულგარებს მერე ველარაფერი შეაკავებს თვით სტამბოლამდე.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

## საზღვარ-გარედ

16 ოქტომბერი.

**კაირი.** ნიაზ-ბეი და ენვერ ბეი მოვიდნენ.

**თავრიზი.** ვაჭართა და მღვდლების კრება განახლდა. ისინი მოითხოვენ მაჰმედ ალის-შაჰის დაბრუნებას. მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს. კარაჯადაგში განახლდა ძარცვაგლეჯა.

**რომი.** სან-ჯულიო კანცლარიის უფროსით 20 ღვინობისთვეს ბერლინში მოდის კიდერლენ-ვეხტერის სანახავად.

**თეირანი.** სალარ-უდ-დოულე შეხრისტანიდან ჩრდილოეთისკენ წავიდა, რათა მაზანდერანში შევიდნენ. სალარ-უდ-დოულეს 420 შეიარაღებული კაცი ჰყავს. შესაძლებელია მას შეუერთდეს სეპეხდარის უკმაყოფილო შვილი ემირ-ასადი და ხოჯევანქის მხედრობა.

**ლონდონი.** გრეიმ სპარსეთის საქმის გამო სთქვა, თუმცა ჩვენ შეგვიძლიან სავაჭრო ინტერესების გულისთვის აღვადგინოთ სამხრეთ სპარსეთის გზების წეს-რიგსაც, მაგრამ, ეს იქნება ისეთი განკურნება, რომელსაც შედეგად უფრო მძიმე ავადმყოფობა მოჰყვებაო.

ჩენ რუსეთისათვის [2]) დ შემდეგ, როცა კრებას გააცნო თავისი შეხედულება ერობის სვე-ბედზე, მეფის მოადგილემ კრების მხურვალე მუშაობისათვის მიმართა წევრთა მამულიშვილურ გრძნობას და მოუწოდა: სამშობლოს სიყვარულისა და სამსახურის მოვალეობისათვის ვეცადნოთ ხელმწიფე იმპერატორის ნებით საერობო თვითმართველობის შემოღებისთვის კავკასიაში[1]).

მეფის მოადგილის ამ მოწოდებას მოჰყვა კრების მუშაობა და კამათი. მიწათ-მომწყობ და მიწათ-მომქმედ სამართველოს აგრონომმა ბ. ა. ი. სააკოვმა ფრიად საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ამ საკითხზე. მისმა რიხიანმა და გაბედულმა სიტყვამ მთელ კრებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან მიმართა მეფის მოადგილეს: „თქვენო ბრწყინვალებავ! ხელმწიფის ნებით თქვენ მოგვიწვიეთ ჩვენ—ადგილობრივი მოღვაწეები,—რომ ხელი შეუწყოთ საერობო მეურნეობის ცხოვრებაში გატარებას. ჭეშმარიტად, საერობო რეფორმა წარმოადგენს საძირკველს, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება საზოგადოებრივსა და სამეურნეო ცხოვრებაში და მცხოვრებნი მთელი მხარისა დიდი ხანია ელიან მას. ერობის საკითხი არა თუ მომწიფდა ჩვენში, არამედ ის გადამწიფდა კიდეც... ცხოვრება ამ უკანასკნელ ხანში ძლიერ წავიდა წინ, მცხოვრებნი მომზადნენ არა თუ მარტო საერობო თვითმართველობისათვის, არამედ სახელმწიფოებრივისათვისაც, რაიც აღიარებულია აგრედვე 18 თებერვლის რესკრიპტით. ახლა საჭიროა 1904 წლის 12 დეკემბრის უკაზში აღიარებულ ფართე საერობო ერთეულების გამოყენება და ერობის საქმეებში ყველა მოქალაქის მონაწილეობის მიღება[2]). სააკოვის გარდა სხვებმაც გამოსთქვეს საგულისხმიერო აზრები.

ყოველივე ეს იყო შვიდი წლის წინ. დღეს ეს საკითხი კვლავ დავიწყებულია. საჭიროა მისი აღდგენა, წამოყენება, სიცხოველის დაბრუნება და სათათბიროს წინაშე გამოტანა.

არის კონკრეტიული საბუთები რომ ერობის საქმის განხორციელებას დიდი შანსები აქვს. ეს შანსებია კავკასიის მთავრობის შეხედულება ამ საკითხზე. ეხლა მხოლოდ ჩვენი ინიციატივაა საჭირო, სწორედ ისა, რასაც გვეუბნებოდა „სახალხო გაზეთში" ბ. Ioenesv. საჭიროა შედგენა საგანგებო ჯგუფისა, რომელიც ამ საქმეს წინ გაუძღვება, გააცხოველებს მისდამი მიმქრალ ინტერესს და ამნაირად საკითხს კანონ-პროექტის სახით წარადგენენ სათათბიროში.

**თევდ. ღლონტი.**

[2]) უნდა იგულისხმოთ, რომ ამას ამბობდა მეფის მოადგილე იმ დროს, როდესაც საერობო დებულების ახალი საფუძველი შენდებოდა რუსეთში.

[1]) Извлеченіе... გვ. 61.
[2]) იხ. საკოვის სიტყვის გვ. 61—62—63—64—ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი ადგილი მოვიყვანეთ.

**ბერლინი.** ბერლინის ჩრდილო-ნაწილის მცხოვრებლებმა არეულობა მოახდინეს ხორცის გამყიდველთა წინააღმდეგ. ადამიანის მსხვერპლიც იყო.

**ვენა.** დაიწყო ხარჯთაღრიცხვის განხილვა. მინისტრ-პრეზიდენტმა სიამოვნება გამოსთქვა სამხედრო კანონპროექტების მიღების გამო.

**ბერლინი.** ლანდტაგი ხორცის თაობაზე შეტანილ შეკითხვას შეუდგა განსახილველად. შეკითხვის ავტორნი მოითხოვენ, როგორმე მოაწესრიგონ ესაქმეო.

**კაირო.** მუსულმანთა გაზეთები სწერენ მკაცრ წერილებს ქრისტიანთა წინააღმდეგ. მოვიდნენ ნაზიბეი და რეშიდ-ბეი; ენვერ-ბეი არ დაბრუნებულა; იგი ტრიპო ლიტანიის არმიაში იმყოფება.

**შტუტგარტი.** გაიმართება გაჯიბრება აეროპლანებისა.

**ბერლინი.** პროფესორი შირი, ყოფილი ლეიბ-მედიკი აბდულ-ჰამიდისა დაინიშნა „წითელ ნახევარ მთვარის“ ხელმძღვანელად.

### რ უ ს ე თ ი

**საზოგადოების დაკეტვა.**

**კიევი.** წესდების დარღვევისთვის, კერძო ბიბლიოთეკაში არალეგალურ წიგნების შენახვისათვის დაკეტეს უკრაინელთა საზოგადო საკრებულო.

**ლენის ამბები.**

**ბოდაიბო.** ხანგრძლივა რევ-დარევის შემდეგ ლენის ოქროს მადნის მაღაროებში ნორმალური ცხოვრება მყარდება.

**პეტერბურგი.** სინოდის ობერ-პროკურორი სპალაში წავიდა.

**სასწავლებლის გახსნა.**

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ საჭიროდ სცნო გახსნას 1913 წელს სამასწავლებლო ინსტიტუტი კალუგასა, ვორონეჟსა, მოგილიოვსა, ნიკოლაევსა, ვლადიკავკავსა და სარატოვში.

**ყოფილი დეპუტატები.**

**პეტერბურგი.** 436 მესამე სათათბიროს ყოველ დეპუტატებში ამომრჩევლად აირჩიეს 192, ამათში: 46 მემარჯვენეში აირჩიეს 20, 74 ნაციონალისტში—36, 13 დამოუკიდებელ ნაციონალისტში—8, 11 მემარჯვენე ოქტომბრისტებში—4, 120 ოქტომბრისტებში—63, (?) პროგრესისტებში—10, 9 მუსულმანში—3, 52 კადეტებში—24, 14 შრომის ჯგუფელში—6, 14 ესდეკში—2, 26 უპარტიოში—3.

**შავი ჭირი.**

**ასტრახანი.** 12 ღვინობისთვეს შავი ჭირით გამხდარი ავანტყოფი კრასილნიკოვა გარდაიცვალა.

**სარატოვი.** გემების ჰიმოსვლა შეჩერებულია.

## უცხოეთი

**ყოფილი სულთანი აბდულ-ჰამიდი სტამბოლში.**

გავრცელებული ხმები, ვითომ ყოფილი სულთანი სტამბოლში იმყოფებაო, რადგანაც სალონიკს ძლიერი ხიფათი მოელოდდაო, თითქოს გამართლდა. „ტაგის“ კორესპოდენტი იუწყება, მიუხედავად ოსმალეთის მთავრობის უარყოფისა, აბდულ-ჰამიდი სტამბოლში იმყოფებაო; სცხოვრობს ძველ სასახლეში, გადამწვარ პარლამენტის მახლობლად. ალატინის ველის ტუსაღი, რომელიც ტახტიდან ჩამოგდების მეორე დღეს გაიგზავნა იქ, კვლავ დაბრუნდა თავის ყოფილ საბრძანებელში. აბდულ-ჰამიდი ალატინში ყოფნის დროს ეხვეწებოდა მთავრობას, გადაეყვანათ რომელიმე სასახლეში, ზღვის პირად რომ იმყოფებოდა, მაგრამ მუდამ მკაცრ უარს მიიღებდა ხოლმე. ამბობენ სულთანს რამდენჯერმე განუზრახავს გაქცევაო. ამის შედეგად იყო უფრო ფხიზელი ყარაული და სასტიკი მოქცევა. ალბანელების აჯანყების დროს, რომელთაც ახალგაზრდა ოსმალთა რეჟიმის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ხმა იყო ვითომ სულთანის განთავისუფლება სწადიანთო. მაგრამ მთავრობა და მეამბოხენი შერიგდნენ, და ფიქრი საქმედ ვერ იქცა. ეხლა, როცა ომი ასტყდა მთავრობამ ადგილი შეუცვალა აბდულ-ჰამიდს, დაასახლა სტამბოლში. აბდულ-ჰამიდის ყოფნას სტამბოლში ხალხზე დიდი გავლენა შეუძლიან იქონიოს.

**ინგლისის პრემიერის ავადმყოფობა.**

ამ ორი კვირის განმავლობაში ინგლისის პრემიერ-მინისტრი ასკვიტი პალატაში არ ყოფილა. მიზეზად ავადმყოფობას ასახელებენ. მისი არ ყოფნა პალატაში ფრიად საგრძნობია. ამბობენ ასკვიტი თანამდებობას თავს სულ დაანებებდა, მაგრამ მისი დაწყებულ რეფორმების ბედი აბრკოლებს. თუ ვინიცობაა ასკვიტი თანამდებობიდან გადადგა შესაფერი კანდიდატი კაბინეტში არც კი მოიძებნება. ედუარდ გრეი რადიკალებისთვის სრულიად სასურველი არ არის. ლოიდ-ჯორჯი კი ზომიერებისათვის. არის კიდევ ერთი კანდიდატი ჩერჩილი, მაგრამ ახალგაზრდობა დაბრკოლებად ეღობება წინ.

## რუსეთი

**საბლერის ცირკულიარი.**

შინაურ საქმეთა სამინისტროში განუწყვეტელად მოდის საარჩევნო კომიტეტებისაგან და კერძო პირთაგან საჩივრები, საცა სამღვდელოების მოქმედებას უჩივიან. მაგალითად, კურსკში დეკანოზ ერბოვმა ეკლესიაში თავის მრევლს დაურიგა დამზადებული საარჩევნო სიები, საცა მისთვის სასურველი კანდიდატები იყვნენ ჩაწერილნი. ამის გამო შინაურ საქმეთა მინისტრმა მაკაროვმა სათანადო წინადადება მისცა სინოდის ობერ-პროკურორ საბლერს. საბლერმა ეპარქიებში დაგზავნა ცირკულიარი, საცა იგი „ურჩევს“ მღვდლებს, მოერიდნენ ეკლესიებში წირვის დროს ახდილად მოქმედებასო.

(დენი).

## თეატრი და ხელოვნება

**სახაზინო თეატრი.** დღეს ივ. ვ. ფალიაშვილის ლოტბარობით საოპერო ამხანაგობა მესამედ დასდგავს ოპერას „ორლეანელი ქალი“.

ხვალ, 18 ოქტომბერს, დანიშნულია წარმოდგენა gala „ლაკმე“.

**ვანო საათაშვილს** ქართულად გადაუთარგმნია **ბარიეს** სამ მოქმედებიანი პიესა **„დასჯილნი“**, რომელიც წიგნად იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გასასყიდად გამოვა.

**ბ-ნი ნარკანი,** ტფილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების დავალებით სთარგმნის **ჟერომ კ. ჟერომის სამ მოქმედებიან პიესას „მესამე სართულის მდგმური“**. ეს პიესა წლევანდელ სეზონში დაიდგმება.

**ავლაბარის სახალხო თეატრი.** კვირას, 14 ოქტომბერს, ავლაბრის ქართულმა წრემ ბ-ნ ივანიძის რეჟისორობითა და მონაწილეობით დასდგა ოთხ მოქმედებიანი დრამა ბერლენისა „სამხედრო ბანაკში“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ყველას ეტყობოდა შრომა და როლების ცოდნა. კარგი იყო ბ-ნი ივანიძე (ვახმისტრი ფელგარდტი), განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში.

ავლაბრის წრეს განუზრახავს 27 ოქტომბერს, ილიას დაბადების 75 წ. თავზე, მის ხსოვნის აღსანიშნავად გამართოს **„სალიტერატურო გასამართლება“** და **„ილიას საღამო“**. გაასამართლებენ ილიას „დიმიტრი თავდადებულს“. ბოლოს გაიმართება **ქართული კონცერტი** ბ-ნ ვ. მათურელის ლოტბარობით.

**კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი.** როგორც მკითხველებმა იციან 7 ოქტომბერს ჩვენში კარგად ცნობილმა მემუსიკემ კ. ფოცხვერაშვილმა სახალხო სახლში კონცერტი გამართა. კონცერტმა კარგად ჩაიარა და დამსწრეებზე ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა. რადგანაც ბ-ნს ფოცხვერაშვილს ბევრმა თხოვნით მიმართა, ეს კონცერტი ქართულს თეატრში გაიმეორეო, ამიტომ იგივე კონცერტი შაბათს, 20 ოქტომბერს, „ახალ კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს თაოსნობით განმეორებულ იქნება ქართულს თეატრში. პროგრამა კონცერტისა მრავალმხრივია. შესრულებულ იქნება განსაკუთრებით თვით კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებნი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სოლისტები, ხორო და სიმფონიური ორკესტრი. ის ქალ-ვაჟნი, რომელთაც ხოროში მონაწილეობის მიღება სურთ, ქართულს თეატრში უნდა გამოცხადდნენ რეპეტიციებზე სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე.

**ბათუმი.** ბათუმში სასცენო საქმეს მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა. 14-ს ოქტომბერს დასდგეს ისტორიული პიესა „შოთა რუსთაველი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს კოკისპირული წვიმა იყო და წარმოდგენა იყო გამართული ადგილობრივ კლუბის დარბაზში, რომელიც საკმაოდ დაშორებულია ქალაქიდან და ბულვრის ნაპირას მდებარეობს, საზოგადოება დიდ-ძალი მიაწყდა. არც მოსტყუვდა საზოგადოება: ქ-ნი რონელი თვისი გრიმით და დიდებული მორთულობით ნამდვილ თამარს წარმოგვიდგენდა თვალ-წინ, აგრეთვე ბ. შალვა დადიანი—სწორ უპოვარ შოთას გვიხატავდა. შეუდარებელი იყო ბ. კორიშელი (გედეონ რუსთაველის მამა) თავის როლში, მან ისე ხელოვნურად და გრძნობიერად აასრულა მამის (მწირის) როლი, რომ ბევრს ცრემლები მოჰგვარა. არა უშავდა-რა: ბ. ყალაბეგიშვილს, (ლიპარტიორ ბერლიანი) სარილს, (ზაქარია მხარგრძელი) მურუსიძეს (ორთელიშვილი). ბარველს (მალხაზ, რუსთაველის მხლებელი) და ჩაგუნავას (მოხუცი მსახური).

დასასრულ საკონცერტო განყოფილება გაიმართა. თუმცა ბ-ნი ჩაგუნავა—ვერაფერი „მოხუცი“ იყო, სამაგიეროდ საკონცერტო განყოფილებაში რაკ-რაკა ხმით საზოგადოება მოხიბლა... მღეროდნენ: ჩაგუნავა, ყალაბეგიშვილი, კორიშელი და ერთიც კერძო პირი. საუცხოვოდ შეასრულეს: „გახსოვს ტურფავ“, „მთაო, გადმიშვი“ და სხვა. ბ-ნმა ხურციძემ გურულ-მეგრული სცენები წაიკითხა და საზოგადოება ბევრი აცინა. დიდად ნასიამოვნები საზოგადოება პირველის დასაწყისზე დაიშალა. სასურველია, რომ ბ-ნმა ჩაგუნავამ კვლავ მოაწყოს საკონცერტო განყოფილება და საზოგადოებისთვის მეტი ესთეტიური სიამოვნება ეგრძნობინებინოს.

შემდეგი წარმოდგენები 21-სა და 22-ს ოქტომბერს იქნება—„მსხვერპლი“ და „სამშობლო“.

**ტრ. ჭ.—ობარელი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ს. ცხრუკვეთის და ს. თვალუეთის მცხოვრებლების დავალებით, მადლობა გადაუხადო ბ. ბ. ვასილ და სერგი გიორგის ძე წერეთლებს, რომლებმაც ზემო ხსენებულ სოფ. მცხოვრებლებს უსასყიდლოდ დაუთმეს თავისი საკუთარი სახლები ს. ცხრუკვეთში ორის წლით, ჩემდამო რწმუნებულ სამინისტრო სასწავლებელს და ამით ხელი შეუწყეს საზოგადო განათლების საქმეს.

ცხრუკვეთის სამინ. სასწავლებლის გამგე **მიხეილ ალ. წაქაძე.**

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მიუძღვნა **ძმათა ავსარქისოვებს**, რომლებმაც თავიანთი დედის სამახსოვროდ შემოსწირეს ქუთაისის განყოფილების სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას ორასი მანათი.

გამგეობის თავჯდომარე **ა. ერვანდიან.**

ბატონო რედაქტორო!

ამასთანავე ვადგენ 10 მანეთს, შეკრებილს სოფ. ხეთაში (ოზურგეთის მაზრა) **ილია ჭავჭავაძის** ფონდის გასაძლიერებლად.

დიდ მადლობას ვუძღვნი შემომწირველთ და ვწუხვარ, რომ მათი სია დავკარგე, რის გამოც ამასთანავე ვერ ვათავსებ.

**სოფიო დავ. კობახიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.


## განცხადებანი

თ მ ი ს
ს ა ღ ე ბ ა ვ ი
**კაკლის ექსტრაქტისა.**
თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუმტიშავად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711. თევდ. მიულგენსი, მის იმპ. უდ. ხრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი და რ ი გ ა.
დაარს. 1792 წ.



## მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).
**15 ოქტომბრიდან.**
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, სღ. 5 ს. 30 წ. ჩქარი № 2, დილ. 8 ს. 18 წ. საფოსტო № 4, ღამის 10 ს. 30 წ. სამგზავ. № 6, ნაშუადღ. 4 ს. 35 წ. ნარევი № 106. ღამ. 3 ს. 57 წ.

**ბათუმისაკენ:** სახ. № № 107, ღამ. 2 ს. 24 წ. სახ. № 5, ღამ. 2 ს. 42 წ. საფ. № 3, დილ. 7 ს. 54 წ. სახ. № 4, საღ. 8 ს 6 წ.

**ერევნისაკენ:** საფ. № 4/3, ღამ. 11 ს. 15 წ. სახ.-საბ. № 8/7, დილ. 10 ს. 10 წ. სახ.-საბარგ. № 6/5, საღ. 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისაკენ:** სახ. № 9/10 6, შ 1 ს. 21 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან.** ნარევ. № 107, ღამ. 1 ს. 12 წ. სახ. № 5, ნაშ. 1 ს. 50 წ. საფ. № 3, დილ. 7 ს. 4 წ. ჩქარ. № 1, საღ. 7 ს. 14 წ. სახ.-საბ. № 7, დილ 9 ს 59 წ.

**ბათუმიდან:** სახ. № 12, დილ. 6 ს. 54 წ. საფ. № 4, ღამ. 9 ს. 35 წ. სახ. № 6, ნაშ. 4 ს. ნარევ. № 106, ღამ. 3 ს. 20 წ.

**ერევნიდან:** სახ. № 4/3, დილ. 6 ს. 4 წ. სახ.-საბ. № 8/7, ნაშუადღ. 3 ს. 32 წ. სახ.-საბ. დილ. ს. 32 წ.

**ბორჯომიდან:** სახალ. № 9/10 6, დილ. 9 ს. 26 წ.

**მიხაილოვიდან სურამში** სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 12 ს. 22 წ. სახ.-საბ № 63, ღამ. 3 ს. 34 წ. სახ.-საბ. № 65, დილ. 10 ს. 53 წ. სახ.-საბ. № 67, ნაშ. 1 ს. 17 წ. სახ.-საბ. № 69, საღ. 5 ს. 57 წ. სახ.-საბ. № 71, საღ. 7 ს. 22 წ.

**ქუთაისიდან რიონში:** სახ. № 77, ღამ. 2 ს. 32 წ. სახ. № 79, დილ. 8 ს. 18 წ. სახ. № 81, დილ. 11 ს. 7 წ. სახ. № 83, ნაშ. 3 ს. 52 წ.

**რიონიდან ქუთაისს:** სახ. № 76, ღამ. 4 ს. 29 წ. სახ. № 78, დილ. 9 ს. 6 წ. სახალ. № 80, ნაშ. 1 ს. 12 წ. სახ. 82, ნაშ. 4 ს. 59 წ. სახ. № 84, ღამ. 11 ს. 42 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს:** სახალხო № 29/30, ნაშ. 3 ს. 27 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს:** სახ № 27/28, დილ. 6 ს. 34 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს:** სახ. № 26, ღამ. 4 ს. 10 წ. სახ. № 4 п, 9 ს. 13 წ. სახ. № 6, ნაშ. 3 ს. 6 წ სახ. № 8 п, საღამ. 7 ს. 14 წ.

**სამტრედიიდან ფოთში;** სახ. № 3 п, შუადღ. 12 ს. 1 წ. სახ. № 7 п. დილ 5 ს. 24 წ. სახ. № 5 п, საღ. 6 ს. 3 წ. სახ. № 25 п, ნაშ. 4 ს. 22 წ.

**ბათუმ.-დან ქობულეთსა და ნატანებში:** სახ. № 18, ღამ, 9 ს. 17 ს. სახ. № 14, ღამ. 3 ს. 47 წ. საბ. № 16, ნაშ. 1 ს. 2 წ.

**ქობულეთ.-დან ბათუმს:** სახ. № 13, დილ. 5 ს. 8 წ. სახ. № 15, ღამ. 10 ს. 27 წ. სახალხ. № 17, ნაშ. 3 ს. 51 წ.

**ნატანებიდან ბათუმს:** სახ № 17, ნაშუაღ. 3 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს.** სახ. № 46, ნაშ. 1 ს. 12 წ. სახ. № 65, საღ. 7 ს. 18 წ. სახ. № 86, ღამ. 3 ს. 29 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში:** სახ. № 36, დილ. 10 ს. 39 წ. სახ. № 55, ნაშ. 4 ს. 2 წ. სახ. № 76, ღამ. 10 ს. 45 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში:** სახ.-საბარ. № 60, ღამ. 11 ს. 25 წ. სახ.-საბ. № 62, ღამ. 2 ს. 42 წ. სახ.-საბ. № 64, დილ. 5 ს. 12 წ. სახ.-საბ. № 66, დილ. 11 ს. 30 წ. სახ.-საბ. № 68, ნაშ. 4 ს. 4 წ. სახ.-საბ. № 70, საღ. 6 ს. 30 წ.

## გემების მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)
**15 ოქტომბრიდან,**
**შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.**
(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).
„ვ ა ჭ რ ო ბ ა - ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ი ს“ საზოგადოების გემები.

**ბათუმიდან გადის:**
1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, საფოსტო გემი, შაბ., და კვირ., ღამ. 11 ს. 2 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**
№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 12 ს, 2 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 12 ს. 2 წ.
№ 1. **სახ., შაბათ.**, ნაშუადღ. 1 ს. 2 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 1 ს. 2 წ.

**ბათუმში მოდის:**
**ოდესიდან**
პ ი რ დ ა პ ი რ ი, საფ., პარ., დილ. 5 ს. 2 წ.
მოსიარულე ირგვლივ:
№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 2 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 9 ს. 2 წ.
№ 1. **სამგზ.**, პარ. საღ. 7 ს. 2 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 7 ს. 2 წ.

**კასპიის ზღვაზე.**
„კავკაზი და მერკური“ საზოგ. გემებისა.
**ბაქოდან გადის:**
**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე საღ. 5 ს. 44 წ.
**ენზელს** პ ი რ დ ა პ ი რ ი, პარ., და სამშაბ., ნაშუად. 3 ს. 44 წ.
ირგვლივ მოსიარულე:
**ასტარას, ხუთშ.** ნაშუად. 3 ს. 44 წ.
**ბაქოში მოდის;**
**კრასნოვოდსკიდან** ყოვ.-დღ. 4 ს. 29 წ.
**ენზელიდან** ორშ. და პარას., 8 ს. 44 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 5 ს. 44 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაჲანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).
სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო სამკურნალო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**
უბნები
1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და კოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი. 1037.

## ექიმ ნავასარდიანის პირველი ქალაქის სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
„606“ —11—12 ს. **შეხაპუნება კონსულტატიურად.**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგახაროვა:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. ხაბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეკტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. ქ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**მ. გ. ბეკტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## ფეხსაცმელები

თ ო მ ა დ. ჯ ა ნ ყ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს
**მაღაზია-სახელოსნოში.**
მუხრანის ქ. № 2.
ყ ო ვ ე ლ ნაირი; საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.



683.

—— **გამოსულია და იყიდება** ——
**ნ. შიუკაშვილის**
პ ი ე ს ა **„მემონარობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**
**ი. გედევანიშვილის** პ ი ე ს ა
**„გ ა მ ც ე მ ი“**
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**კლდე**

**16 ენკენისთვიდან, გამოდის ყოველ კვირეული საზოგადო - ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი**
რედაქცია იმყოფება:
**ტფილისი, გაბაანთ შესახვ., № 3 რედაქცია „კლდე“**
წლიური ფასი . . . . . . . . 5 მან.
ამა 1912 წლ. დამლევამდე . . . 1 „ 50 კ.
თვეში . . . . . . . . . . — „ 50 კ.
(სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მანეთად).
რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათამდე. 1495.

**გამოსულია და იყიდება**
**არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ | ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა | „ | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი“ | „ | 65 კ. |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | „ | 85 კ. |

## ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ კლიშეების დამზადებას.**
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

მიიღეთ საუკეთესო გემოს. მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა.

თევზის მრეწველნი **მმ. ძმ. ძმველოვები.**
**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**
1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,** და ყოველგვარი **კ ო ნ ს ე რ ვ ე ბ ი.**
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი
—◆ შ ა ვ ი ხ ი ზ ი ლ ა ლ ა ◆—